ოქმი:**ო31. 3123152001**

თარიღი:**01/06/2023**

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომის
ოქმი N8

ქ. ლანჩხუთი

25. 05. 2023 წელი

საკრებულოს სხდომას ესწრებოდნენ: ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე ბესიკ ტაბიძე, საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე ემზარ თევდორაძე, საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილეები ვერიკო კვირკველია და გიორგი ჩახვაძე, საკრებულოს იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარე გიორგი ხელაძე, საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხთა კომისიის თავმჯდომარე ზაზა წულაძე, საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარე გიორგი იმნაიშვილი, საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე ალექსანდრე მახათაძე, საკრებულოს სოციალურ საკითხთა, განათლების, კულტურისა და ახალგაზრდულ საქმეთა თავმჯდომარე კარლო კვიტაიშვილი, საკრებულოს ფრაქცია ,,ლანჩხუთი საქართველოსთვის“ თავმჯდომარე მაკა მშვიდობაძე, საკრებულოს წევრები (სარეგისტრაციო ფურცელი თან ერთვის), საკრებულოს აპარატის პირველი რანგის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი (აპარატის უფროსი) ნინო ძიძიგური, საკრებულოს აპარატის მეორე რანგის მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი ნანა ბზეკალავა, საკრებულოს აპარატის მესამე რანგის პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი მარიამ კუპრაძე, საკრებულოს აპარატის მესამე რანგის პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი იურიდიულ საკითხებში რუსუდან გვარჯალაძე, საკრებულოს აპარატის მესამე რანგის პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი საზოგადოებასთან ურთიერთობის საკითხებში ლაშა სარჯველაძე, საკრებულოს აპარატის მეოთხე რანგის პირველი კატეგორიის უმცროსი სპეციალისტი ეკა მეგრელიშვილი.

მოწვეული სტუმრები: ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერი ალექსანდრე სარიშვილი, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერის პირველი მოადგილე ეკა გუჯაბიძე, მერიის ქონების მართვისა და სოფლის მეურნეობის სამსახურის სპეციალისტი ვარდენ კვაჭაძე.

საკრებულოს თავმჯდომარემ, **ბესიკ ტაბიძემ** აღნიშნა, რომ საკრებულოს სხდომის დღის წესრიგის განსაზღვრის შემდეგ შემოვიდა ორი საკითხი და მიმართა საკრებულოს წევრებს, რომ აღნიშნული საკითხები დამატებოდა დღის წესრიგის პროექტს.

საკრებულოს თავმჯდომარემ **ბესიკ ტაბიძემ** სხდომას გააცნო დღის წესრიგის პროექტი:

1. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა საკითხებზე მომუშავე საბჭოს დებულების დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 27 აპრილის N24 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების დამტკიცების შესახებ.

/მომხსენებელი ეკა გუჯაბიძე/

2. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების სარგებლობის უფლებით მიმღები პირების, ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების დარღვევისათვის დაკისრებული პირგასამტეხლოსგან გათავისუფლებაზე მერისათვის

თანხმობის მიცემის შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების დამტკიცების თაობაზე.

/მომხსენებელი ვარდენ კვაჭაძე/

3. ,,ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების, ა(ა)იპ „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის სპორტული ცენტრისთვის“ პირდაპირი განკარგვის წესით, სარგებლობის უფლებით უსასყიდლოდ გადაცემაზე მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 25 აპრილის N28 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების დამტკიცების თაობაზე.

/მომხსენებელი ვარდენ კვაჭაძე/

4. ,,სსიპ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის სოფელ აკეთის საჯარო სკოლისთვის საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისთვის დაღუპული, ზაზა ჩხაიძის სახელის მინიჭებაზე თანხმობის გაცემის შესახებ” ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების დამტკიცების თაობაზე.

/მომხსენებელი გიორგი ხელაძე/

5. სხვადასხვა საკითხები.

დღის წესრიგის პროექტთან დაკავშირებით საკრებულოს წევრების მიერ შენიშვნები არ გამოთქმულა.

საკრებულოს თავმჯდომარემ ბესიკ ტაბიძემ კენჭი უყარა დღის წესრიგის პროექტს:

კენჭისყრას ესწრებოდა საკრებულოს 20 წევრი.

მომხრე საკრებულოს 20 წევრი, წინააღმდეგი არც ერთი.

დღის წესრიგის პირველი საკითხი: „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა საკითხებზე მომუშავე საბჭოს დებულების დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 27 აპრილის N24 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი სხდომას გააცნო ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერის პირველმა მოადგილემ **ეკა გუჯაბიძემ.** მან განმარტა, რომ ზემოაღნიშნული ცვლილების საფუძველია მერიაში სტრუქტურული ერთეულების დასახელებების ცვლილება. შესაბამისად ცვლილება შედის დადგენილების მე-3 მუხლში, რომლითაც საბჭოს შემადგენლობა არის განსაზღვრული. პროექტის მიღება არ გამოიწვევს ადგილობრივი ბიუჯეტის და ხარჯების ზრდას.

საკრებულოს წევრების მიერ დადგენილების პროექტთან დაკავშირებით შენიშვნები და წინადადებები არ გამოთქმულა.

საკრებულოს თავმჯდომარემ, ბესიკ ტაბიძემ კენჭი უყარა დადგენილების პროექტს.

კენჭისყრას ესწრებოდა საკრებულოს 20 წევრი.
მომხრე საკრებულოს 20 წევრი, წინააღმდეგი არც ერთი.
მიღებულ იქნა დადგენილება N13(25.05.2023).

დღის წესრიგის მეორე საკითხი: „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების სარგებლობის უფლებით მიმღები პირების, ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების დარღვევისათვის დაკისრებული პირგასამტეხლოსგან გათავისუფლებაზე მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი სხდომა გააცნო მერიის ქონების მართვისა და სოფლის მეურნეობის სამსახურის სპეციალისტმა **ვარდენ კვაჭაძემ.** მან განმარტა, რომ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიას, სხვადასხვა პერიოდში, ერთი და იგივე შინაარსობრივი განცხადებით, წერილობით მომართა ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების სარგებლობის უფლებით მიმღებმა პირებმა: ციალა ლომაძემ, მარინა ორაგველიძემ, ნანა ურუშაძე - ძიმისტარიშვილმა, მარინა თავართქილაძემ, ანზორ კვერენჩხილაძემ და ეთერ

ხუტულაიშვილმა, რომლებმაც - ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიასთან გაფორმებული ხელშეკრულებებით ნაკისრი ვალდებულებების დარღვევის, კერძოდ სარგებლობის ქირის საფასურის გადაუხდელობის გამო, ითხოვეს მუნიციპალიტეტის მერიის მიერ, დაკისრებული პირგასამტეხლოსგან გათავისუფლება. ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის ქონების მართვისა და სოფლის მეურნეობის სამსახური მიზანშეწონილად მიიჩნევს რომ, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების სარგებლობის უფლებით მიმღები ზემოაღნიშნული პირები, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანხმობის შემთხვევაში, გათავისუფლდნენ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების დარღვევისთვის დაკისრებული პირგასამტეხლოსგან.

საკრებულოს წევრების მიერ განკარგულების პროექტთან დაკავშირებით შენიშვნები და წინადადებები არ გამოთქმულა.

საკრებულოს თავმჯდომარემ, ბესიკ ტაბიძემ კენჭი უყარა განკარგულების პროექტს.

კენჭისყრას ესწრებოდა საკრებულოს 20 წევრი.
მომხრე საკრებულოს 20 წევრი, წინააღმდეგი არც ერთი.
მიღებულ იქნა განკარგულება N33(25.05.2023).

დღის წესრიგის მესამე საკითხი: ,,ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების, ა(ა)იპ „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის სპორტული ცენტრისთვის“ პირდაპირი განკარგვის წესით, სარგებლობის უფლებით უსასყიდლოდ გადაცემაზე მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 25 აპრილის N28 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი სხდომას გააცნო მერიის ქონების მართვისა და სოფლის მეურნეობის სამსახურის სპეციალისტმა **ვარდენ კვაჭაძემ.** მან განმარტა, რომ განკარგულებაში შედის ცვლილება, კერძოდ:

განკარგულების პირველი მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 1. მიეცეს თანხმობა ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერს, გადასცეს ა(ა)იპ „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის სპორტული ცენტრს“ (ს/კ 433649359) მისი არსებობის ვადით, პირდაპირი განკარგვის წესით, უსასყიდლოდ სარგებლობის უფლებით, უზუფრუქტის ფორმით, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონება, კერძოდ ქ. ლანჩხუთში, გორგასალის ქუჩა N11-ში მდებარე 1506.00 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი და მასზე არსებული 1240.00 კვ.მ. შენობა-ნაგებობა (საცურაო აუზი) საკადასტრო კოდით (ს/კ 27.06.51.027).**“**

საკრებულოს წევრების მიერ განკარგულების პროექტთან დაკავშირებით შენიშვნები და წინადადებები არ გამოთქმულა.

საკრებულოს თავმჯდომარემ, ბესიკ ტაბიძემ კენჭი უყარა განკარგულების პროექტს.

კენჭისყრას ესწრებოდა საკრებულოს 20 წევრი.
მომხრე საკრებულოს 20 წევრი, წინააღმდეგი არც ერთი.
მიღებულ იქნა განკარგულება N34(25.05.2023).

დღის წესრიგის მეოთხე საკითხი: ,,სსიპ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის სოფელ აკეთის საჯარო სკოლისთვის საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისთვის დაღუპული, ზაზა ჩხაიძის სახელის მინიჭებაზე თანხმობის გაცემის შესახებ” ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი სხდომას გააცნო საკრებულოს იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარემ **გიორგი ხელაძემ.** მან განმარტა, რომ ყველა პროცედურის დაცვით შემოვიდა განცხადება, რომლის მიხედვითაც მოსახლეობა ითხოვს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის სოფელ აკეთის საჯარო სკოლას მიენიჭოს ამავე სკოლის კურსდამთავრებული ზაზა ჩხაიძის სახელი, რომელიც ტამიშთან, საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისთვის ბრძოლაში დაიღუპა.

საკრებულოს წევრების მიერ განკარგულების პროექტთან დაკავშირებით შენიშვნები და წინადადებები არ გამოთქმულა.

საკრებულოს თავმჯდომარემ, ბესიკ ტაბიძემ კენჭი უყარა განკარგულების პროექტს.

კენჭისყრას ესწრებოდა საკრებულოს 20 წევრი.
მომხრე საკრებულოს 20 წევრი, წინააღმდეგი არც ერთი.
მიღებულ იქნა განკარგულება N35(25.05.2023).

სხვადასხვა საკითხები:

საკრებულოს წევრმა **ჯუმბერ ბლაგიძემ** აღნიშნა, რომ კარგი იქნება, თუ დროულად მოგვარდება ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საჯარო სკოლებში დაწყებითი და საბაზო საფეხურზე მყოფი მოსწავლეების კვების საკითხი. ასევე, სოფელ გრიგოლეთში გარე განათების მოწყობა. გარდა ამისა, დაინტერესდა, როდის მთავრდება სოფლის პროგრამის ფარგლებში გამოცხადებული ტენდერები და რატომ არ მოხდა სუფსის რკინიგზის სადგურის მიმდებარე ტერიტორიის დასუფთავება, რომლის თაობაზეც მან არა ერთხელ ისაუბრა საკრებულოს სხდომაზე.

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის პირველმა მოადგილემ **ემზარ თევდორაძემ** აღნიშნა, რომ დასასრულს მიუახლოვდა აკეთი-შუხუთის გზის ასფალტის საფარით მოწესრიგება და ავტოსაგზაო შემთხვევების თავიდან აცილების მიზნით, მოსახლეობის სახელით ითხოვა საგზაო ნიშნების გაკეთება და გზის საფარის დახაზვა.

საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხთა კომისიის თავმჯდომარე **ზაზა წულაძე** დაინტერესდა, როდის ასრულებს დაწყებულ სამუშაოებს წყალმომარაგების კომპანია ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ ერთეულებში და თუ არის შესაძლებელი, რომ დროის მოგების მიზნით, პარალელურ რეჟიმში დარჩენილ ადმინისტრაციულ ერთეულებში დაიწყოს დაპროექტება. მან აღნიშნა, რომ სოფელ ქვიანში სტიქიის შედეგად ჩამოვარდა ამბულატორიის შენობის კარი და დაზიანებულია ღობეც, რის გამოც ეზოში შემოდის პირუტყვი და ყველაფერს აჩანაგებს.

საკრებულოს წევრი **კახა თედორაძე** დაინტერესდა სოფელ ორმეთის წყალმომარაგების საკითხით.

საკრებულოს სოციალურ საკითხთა, განათლების, კულტურისა და ახალგაზრდულ საქმეთა თავმჯდომარემ **კარლო კვიტაიშვილმა** აღნიშნა, რომ კუპრეიშვილის ქუჩის მოსახლეობის ნაწილს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიის მიერ არ მიეწოდება სასმელი წყალი.

საკრებულოს წევრმა **ელისო ჭიჭინაძემ** აღნიშნა, რომ დროში ძალიან გაიწელა საექიმო უბნების მოწესრიგების საკითხი. ამიტომ ეწერი-ჯურუყვეთის მოსახლეობამ გადაწყვიტა, რომ სოფლის პროგრამის ფარგლებში შემოღობოს ჯურუყვეთის საექიმო უბნის ეზო, რომელიც უკიდურესად დაზიანებულია, მაგრამ ამ პროგრამით გამოყოფილი თანხა არ არის საკმარისი და მოსახლეობის სახელით მუნიციპალიტეტის მერისგან ითხოვა დახმარება საქმის ბოლომდე მისაყვანად. მან ასევე აღნიშნა, რომ კარგი იქნებოდა, თუ გამოიძებნებოდა საშუალება, რათა ე.წ. მეორადი შპალებით დახმარებოდნენ მთიულა ხოზრევანიძეს სახლთან მისასვლელი გზის მოწესრიგებაში. მან ყურადღება გაამახვილა ონკოპაციენტების მედიკამენტებით დახმარების პროგრამაზე, რომელიც წინა წლებთან შედარებით საკმაოდ გაუმჯობესებულია, მაგრამ არის შემთხვევა, როცა ჰორმონოთერაპიისთვის ინიშნება ისეთი სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი მედიკამენტი, რომლის დაფინანსებაც არ ხდება აღნიშნული პროგრამით და კარგი იქნება, თუ შესაძლებლობიდან გამომდინარე ნაწილობრივ მაინც მოხდება ასეთი ბენეფიციარების დახმარება.

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერმა **ალექსანდრე სარიშვილმა** აღნიშნა, რომ ის ცდილობს დასმულ შეკითხვებს სხდომაზევე უპასუხოს ამომწურავად და ამჯერადაც გააკეთა შემდეგი სახის განმარტებები:

-სოფლის პროგრამის ფარგლებში გამოცხადებული ტენდერების ვადა იწურება 2023 წლის 25 მაისს და სამუშაოები სავარაუდოდ 5 ივნისიდან დაიწყება.

-ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერმა წერილობით არაერთხელ მიმართა საქართველოს რკინიგზის დეპარტამენტს, რათა მოაწესრიგონ მათ ბალანსზე არსებული თუ არ არსებული, მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მდებარე ყველა რკინიგზის სადგური და თუ რომელიმე სადგური არ არის მათ ბალანსზე მუნიციპალიტეტი გამოთქვამს მზაობას მათ

გადასაცემად, მაგრამ ჯერ-ჯერობით რეაგირება არ ყოფილა, ხოლო სუფსის რკინიგზის სადგური უკვე წლებია გადაცემული აქვს თავდაცვის სამინისტროს, უფასო უზუფრუქტით. ამ დღეებში ჩამოსული იყვნენ რკინიგზის დეპარტამენტის წარმომადგენლები და მათი ქონების ნაწილი, კერძოდ, სუფსის რკინიგზის სადგურის მიმდებარე ტერიტორიაზე არსებული ჯართი, დაპირებისამებრ გატანილი იქნება უახლოეს დღეებში.

-სოფელ გრიგოლეთში გარე განათების ბოძების რეაბილიტაციის საკითხი კარგი იქნებოდა მოეგვარებინათ სოფლის პროგრამის ფარგლებში.

-საჯარო სკოლებში დაწყებითი და საბაზო საფეხურზე მყოფი მოსწავლეების კვების საკითხზე საუბარი ჯერ-ჯერობით ნაადრევია, რადგან საჭიროა მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული ყველა საჯარო სკოლა იყოს მოწესრიგებული სტანდარტების შესაბამისად, რასაც დაპირებისამებრ მოაგვარებს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო.

-ძალიან მნიშვნელოვანია მუნიციპალიტეტის მოსახლეობისათვის აკეთი-შუხუთის გზის ასფალტის საფარით მოწესრიგება, ხოლო რაც შეეხება საგზაო ნიშნების მოწყობას და გზის დახაზვას, ამ პროექტით არ არის გათვალისწინებული, მაგრამ შესაძლებელია შესაბამის კომპანიას დაუკვეთონ და ეს პრობლემა აუცილებლად მოგვარდება.

-მუნიციპალიტეტის მერი მიესალმება ესოდენ მნიშვნელოვან ფაქტს, რომლის მიხედვითაც თორმეტი სოფელი, ოცდაოთხ საათიან რეჟიმში უზრუნველყოფილი იქნება მაღალი ხარისხის სასმელი წყლით. ზოგადად, პროექტირება და მშენებლობა ერთად გამოდის ტენდერზე და გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანია დაწყებულ სამუშაოებს აწარმოებს აქტიურ რეჟიმში, რომელსაც სავარაუდოდ სექტემბერში დაასრულებს. ივნისის შუა რიცხვებში მუნიციპალიტეტში ჩამოვლენ კომპანიის ხელმძღვანელები და მოხდება ამ საკითხის უფრო დეტალურად განხილვა, ქალაქის ტერიტორიაზე სრულად გამოიცვლება ამორტიზებული მაგისტრალები და რესურსის შესაბამისად მოხდება გზისპირა სოფლების წყალმომარაგების საკითხის მოგვარებაც.

-სოფელ ორმეთში წყალმომარაგების სამუშაოების თითქმის 70% დასრულებულია. ის თავად ესაუბრა კომპანიის წარმომადგენლებს და მათი მხრიდან არის დაპირება, რომ უახლოეს პერიოდში ეს საკითხი მოგვარდება.

-სოფლებში, ამბულატორიების მოწესრიგებასთან დაკავშირებით არის უამრავი პრობლემა, მაგრამ რაც მთავარია ამ კუთხით დაწყებულია სამუშაოები და ეტაპობრივად აუცილებლად მოგვარდება. ერთი თვის წინ მუნიციპალიტეტს სტუმრობდა მთავრობის ადმინისტრაციის რეგიონებთან და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებთან ურთიერთობის დეპარტამენტის რეგიონების პროექტების მონიტორინგის სამსახურის უფროსი - მინდია ღლონტი, რომელმაც გამართა შეხვედრა სოფლის ამბულატორიების ფაქტობრივად ყველა სამედიცინო პერსონალთან, ესაუბრა მათ სამომავლო გეგმებზე, გაეცნო მათ პრობლემებს, იყო დაპირება ხელფასის მატებასთან და ლანჩხუთიდან მაღალმთიან სოფლებში ტრანსპორტირების საკითხის მოგვარებასთან დაკავშირებით. მან ასევე აღნიშნა, რომ ორ თვეში ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში ამბულატორიების მოწესრიგებასთან დაკავშირებით დაიწყება ჯერ მცირე, ხოლო შემდგომში უფრო მასშტაბური სამუშაოები, რომლებიც მოიცავს ამბულატორიების როგორც პროექტირება-მშენებლობას, ასევე მათი საჭირო ტექნიკით და ინვენტარით აღჭურვას.

-მთიულა ხოზრევანიძე დასახლდა ისეთ ადგილას, სადაც მისასვლელი გზა არასოდეს არ ყოფილა, არის ტრიალი მინდორი და ჭაობი, ამიტომ ეს გზა ჯერ კარგად უნდა მოიხრეშოს და მერე იქნება შესაძლებელი ე.წ. შპალების დალაგება.

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერმა **ალექსანდრე სარიშვილმა** განმარტა, რომ სოფლის პროგრამის ფარგლებში მოსახლეობამ უნდა შეარჩიოს ისეთი პროექტები, რომელთათვისაც საკმარისი იქნება ამ კუთხით გამოყოფილი თანხები, რადგან მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში ფიზიკურად არ მოიპოვება ამისათვის სახსრები.

ამით საკრებულოს სხდომამ მუშაობა დაასრულა.

ბესიკ ტაბიძე

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულო-
საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომაზე საკრებულოს წევრთა
დასწრების სარეგისტრაციო ფურცელი

25 მაისი **2023** წელი
12:00 საათი

№	სახელი, გვარი	გამოცხადების დრო	ხელმოწერა
1	ბესიკ ტაბიძე	11.55.	
2	ემზარ თევდორაძე	11.55	
3	ვერიკო კვირკველია	11.45.	
4	გიორგი ჩახვაძე	11.55	
5	გიორგი ხელაძე	11.55	
6	ალექსანდრე მახათაძე	11.45	
7	ზაზა წულაძე	11.58.	
8	კარლო კვიტაიშვილი	11.55	
9	გიორგი იმნაიშვილი	1.00	
10	ია მოქია	—	
11	კახაბერ ასკურავა	—	—
12	მაკა მშვიდობაძე	11:55 წთ.	
13	ვლადიმერ ნანაძე		
14	კარლო წილოსანი	11:55	
15	ლოლიტა ურუშაძე	11.55	
16	ნინო მშვიდობაძე	11:58	
17	გოგი მორჩილაძე	12.00	
18	სპარტაკ კვაჭაძე	11-58	
19	გიორგი გოგუაძე	—	—
20	გოჩა ჯანაშია	11.50	
21	ელისო ჭიჭინაძე	11 —	
22	რევაზ კვერენჩხილაძე	—	—
23	კახა თედორაძე	10.55.	

24	დარეჯან ბურჭულაძე	11 55	
25	ირმა მგელაძე	—	—
26	გივი ცინცაძე	—	—
27	ჯუმბერ ბლაგიძე	1155	